ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723186001
თარიღი:05/07/2023

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მორიგი სხდომა N- 11**

**მიმდინარე წლის 28 ივნისს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 16 ( თექვსმეტი)წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრება 5 (ხუთი) წევრი.**

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სანსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და და სო. დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გიორგი გულბიანი.**

**მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.**

**/მომხს: საკრებულოს საფინანსო კომისიის თავ-რე ლამზირა გუგავა/**

2. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წინადადებაზე, ლენტეხის რაიონის მაცხოვრებლებზე - მედეა ონიანზე (პ/ნ 27001001045), ჯენეტო ჭელიძეზე (პ/ნ 27001005512) და ხანდაზმულ გოგუცა ავალიანზე (პ/ნ 27001004934 ) ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარების გაცემის შესახებ.**

**/მომხს: მერიის საზ.ჯანმრთლობის და სოც.დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/**

3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის N-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

**/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის ხელ-ლი ტარიელ აფაქიძე/**

4. **მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

   **/მომხს. ლ. ლიპარტელიანი/**

5. მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გ გულბიანი/

6. სხვადასხვა.

შენიშვნა სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა

ღია კენჭისყრით მომხრე -16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ერთერთ რეკომენდაციად საკრებულოს ჩაგვიწერა უხელფასო დეპუტატების ხარჯების გაცემის პროცესის დაზუსტება. ამ დადგენილების მიხედვით საკრებულოს უხელფასო წევრებს ხარჯები გამოეწერებათ საკრებულოს ააპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც დაეყრდნობ საკრებულოს სხდომის და კომისიის სხდომის დასწრების ფურცლებს. შესაბამისად ძველ დადგენილებას ვაუქმებთ და ახალს ვამტკიცებთ.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

2. მოისმინეს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წინადადებაზე, ლენტეხის რაიონის მაცხოვრებლებზე - მედეა ონიანზე (პ/ნ 27001001045), ჯენეტო ჭელიძეზე (პ/ნ 27001005512) და ხანდაზმულ გოგუცა ავალიანზე (პ/ნ 27001004934 ) ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარების გაცემის შესახებ. მან დამატებით განმარტა, რომ მედეა ონიანის ოჯახს აქვს განსაკუთრებული, მძიმე გამოუვალი მდგომარეობა და ამ გარემოების გათვალისწინებით ჩაიწერა თანხა 2000(ორი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა - ასეთი კატეგორიის ბენეფიციარები არიან უკიდურესად გაჭივრებული ხალხი და ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დავეხმაროთ ასეთ ხალხს.

შენიშვნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს გასცეს სოც დახმარება სარეზერვო ფონდიდან ლენტეხის რაიონის მაცხოვრებლებზე - მედეა ონიანზე (პ/ნ 27001001045), ჯენეტო ჭელიძეზე (პ/ნ 27001005512) და ხანდაზმულ გოგუცა ავალიანზე (პ/ნ 27001004934 ) ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან

3.მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების

ფორმების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის N-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მოხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება მიღებული იყო წინა სხდომაზე, მაგრამ მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა სამსახურმა მოგვცა სამართლებრივი შენიშვნები, შესაბამისად გათვალისწინებული იქნა აღნიშნული შენიშვნები და მიმზადდა ახალი დადგენილება.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის N-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა წარმოადგინა სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. მან დაწვრილებით ილაპარაკა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებზე.

მერის მოადგილემ ბერდია ჩანქსელიანმა დამატებით აღნიშნა, რომ პროექტების შესრულების პროცესში სერიოზული შეფერხება მოგვცა ცუდმა ამინდებმა., გვაქვს პრობლემები ცუდი შემსრულებლების გამოც.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წინა წლის მიხედვით პროექტების შერულებია პროცენტი ნაკლებია, შესაბამისად უნდა ვიმსჯელოთ და მივიღოთ გონივრული გადაწყვეტილება იმ ფირმებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ასრულებენ სამუშაოებს მოწოდების დონეზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარიმართა კამათი, მაჟორიტარმა დეპუტატებმა გააჟღერეს მოსახლეობის გულდაწყვეტები სამუშაოებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - საკრებულოს მიერ ხორციელდება მიმდინარე პროექტების მონიტორინგი და უნდა აღინიშნოს, რომ ყველა თემში მოსახლეობა გამოხატავს უკმაყოფილებას სოფლის მხარდაჭერის პრიგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებზე.

ლევანიმ პასუხად აღნიშნა, რომ მოსახლეობა ვერასდროს ვერ თანხმდება ერთ პოზიციაზე და მიდმივად აქვთ სხვადასხვა აზრი.

სხდომის თავმჯდომარემ ანგარიში დააყენა შეფასებაზე.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა - წარმოდგენილი ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის ინფრასტრუქტურის და არიტექტურის სამსახურის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მერის მოადგილემ ბერდია ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია წყლის ტენდრის თაობაზე, რომ ბოლოსდაბოლოს შედგა ეს ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია. ტენდერის ღირებულება არის 32 მილიონი, რომ ერთდროულად გაკეთდება ცაგერის და ლენტეხის წყლის სისტემები.

5.მოისმინეს: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გიორგი გულბიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში - 2023წლის 6 (ექვს) თვეში გაწეული მუშაობის სესახებ. აღნიშნა, რომ სულ არის 39 (ოცდაცხრამეტი) პროექტი, აქედან 14(თთხმეტი) გარდამავალი. მან ილაპარაკა ყველა იმ ღონისძიებაზე, რაც სამსახურმა ეტაპობრივად გაატარა იმ ინდმეწამეების და ფირმების მიმართ, რომლებიც მუშაობენ ხარვეზებით.

საკრებულოს წევრებმა შეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს. მან პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მომხსენებელმა სრულყოფილად წარმოადგინა

**ანგარიში და მიაჩნია, რომ ანგარიში უნდა შეფასდეს დადებითად.**

**მან კენჭისყრაზე დააყენა შეფასების საკითხი.**

**ღია კენჭისყრით:**

**მომხრე -16**

**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს: მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.**

**საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 13 საათსა და 30 წუთზე.**


გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი